ქართული
კალათბურთი

# დებულება

## ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი 2023

სეზონი 2022-2023

GBF.GE

## 1. მემორიალი მიზნად ისახავს

- საქართველოში კალათბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას
- მემორიალი წარმოადგენს ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს და მიზნად ისახავს კლუბების სათამაშო კლასის ამაღლებას;

## 2. მემორიალის ხელმძღვანელობა

მემორიალის ორგანიზებას ხელმძღვანელობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ") საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით. თამაშები ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების თანახმად.

## 3. მემორიალის ჩატარების დრო და ადგილი

მემორიალის თამაშები ჩატარდება მიმდინარე წლის 20 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით ჯგუფური ეტაპის და ნახევარფინალური მატჩები ჩატარდება ქ.თბილისში, ოლიმპიურ სპორტის სასახლეში, ხოლო ფინალი გაიმართება ქუთაისში, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში.

## 4. მემორიალში მონაწილე გუნდები, ჩატარების სისტემა

4.1. მემორიალი ტარდება ჯგუფური სისტემით. გუნდები გადანაწილდებიან 4 ჯგუფში.
- ჯგუფებში გუნდები გადანაწილდებიან სუპერლიგის 2021-2022 სეზონის პირველი წრის შედეგების მიხედვით (11 გუნდი), ხოლო მე-12 გუნდად დაემატება მოწვეული გუნდი ყაზახეთიდან.

| **ა - ჯგუფი** | **ბ - ჯგუფი** | **გ - ჯგუფი** | **დ - ჯგუფი** |
|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 2. თსუ | 3. ვერა | 4. ოლიმპი |
| 8. ცხუმ-აფხაზეთი | 7. მეგა | 6. რუსთავი | 5. ბათუმი |
| 9. ტიტები | 10. კაკტუსი | 11. დინამო | 12. ყაზახეთი |

- გუნდები ჯგუფებში ითამაშებენ ერთ (1) წრეს.
- ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები გავლენ ნახევარფინალში.
- ნახევარფინალი და ფინალი ტარდება ერთ მოგებამდე.
- ჯგუფში გამარჯვებისათვის გუნდს ერიცხება ორი ქულა, წაგებისათვის ერთი ქულა. თუ ორი ან რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ექნება მოგება პირად შეხვედრაში. თუ ქულები თანაბარია სამ ან ოთხ გუნდში, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ჩაგდებული და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება პირად შეხვედრებში.

## 5. მემორიალის რეგულაციები

5.1. გუნდი ვალდებულია, 2022 წლის 18 იანვრამდე წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით, რომელშიც ჩაწერილი მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16 (თექვსმეტი)-ს, ასევე მთავარი მწვრთნელი, დამხმარე მწვრთნელი არაუმეტეს 2(ორი) პირისა და სამედიცინო პერსონალი - არაუმეტეს 3 (სამი) პირისა.
5.2. ყოველ თამაშში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ელექტრონულ განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს (12 კაცი).
5.3. სუპერლიგის 2021-2022 წლებში მონაწილე გუნდების მოთამაშეებმა, რომლებსაც დაუმთავრდათ ან შეუწყდათ კონტრაქტი ძველ კლუბთან და არ არიან შეყვანილი ახალი კლუბის საერთო განაცხადში, უნდა წარმოადგინონ ძველი კლუბისგან გათავისუფლების ფურცელი, ახალ კლუბს არ ეკარგება ადგილი საერთო 16-კაციან განაცხადში.
5.4. საზღვარგარეთის კლუბებში რეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოთამაშე ან საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოთამაშე, იმ პირობით რომ მას დაუმთავრდა ან შეუწყდა კონტრაქტი ძველ კლუბთან და არ არის შეყვანილი მემორიალში მონაწილე კლუბის საერთო განაცხადში, ამ შემთხვევაში ახალ კლუბს არ ეკარგება ადგილი საერთო 16-კაციან განაცხადში.
5.5. მოთამაშეს რომელიც შეყვანილია სუპერლიგის ერთი კლუბის საერთო განაცხადში და აკავშირებს მასთან მოქმედი კონტრაქტი, არ აქვს უფლება ითამაშოს მემორიალში მონაწილე მეორე გუნდის შემადგენლობაში.
5.6. მემორიალი ჩატარდება 2021-2022 წწ. საკალათბურთო სეზონის შესაბამისი რეგულაციის დაცვით - კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში თამაშების ჩატარებისა და ორგანიზების რეგულაციები სუპერლიგის გუნდებისთვის და მატჩის მომსახურე პერსონალისთვის'' **იხილეთ დანართი #3**

***შენიშვნა:*** *ვინაიდან ზ.საკანდელიძისა და მ. ქორქიას სახელობის მემორიალის მატჩები ტარდება შემჭიდროებულ ვადებში (შესაძლოა 4 მატჩი 5 სათამაშო დღეში), კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, ფედერაციის სამედიცინო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, იტოვებს უფლებას მემორიალიდან მოხსნას გუნდი, თუ:*
*- გუნდის რომელიმე მოთამაშეს ან/და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელს გამოუვლინდათ კორონავირუსის დამახასიათებელი სიმპტომები.*
*- გუნდის რომელიმე მოთამაშეს ან/და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელს დაუდასტურდა კორონავირუსი.*

**აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნება მემორიალის მონაწილე გუნდებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის და საკალათბურთო სეზონში დაგეგმილი ღონისძიებებისა და სუპერლიგის რეგულარული სეზონის შეუფერხებლად გაგრძელების უზრუნველსაყოფად.**

## 6. დისციპლინარული დარღვევები

- ზ.საკანდელიძისა და მ.ქორქიას სახელობის მემორიალის თამაშებში მიღებულ დისციპლინარულ დარღვევებს არეგულირებს სუპერლიგის 2021-2022 წლების სეზონის დებულება.

## 7. ფინანსები

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- ქ. თბილისში ჯგუფური და ნახევარფინალური მატჩების (ვარჯიშები, თამაშები) სპორტული დარბაზის იჯარას
- მსაჯთა ჯგუფის მიერ თამაშების მომსახურებას;
- გუნდების და საორგანიზაციო ჯგუფის ტრანსპორტირებას ფინალური მატჩისთვის ;
- მემორიალური ტურნირის მწვრთნელებისა და მოთამაშეების დაჯილდოების ხარჯებს (თასი, სიგელები, მედლები), ასევე ტურნირის დროს გამართული სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების სამახსოვრო სუვენირების გადაცემის ხარჯებს. მემორიალური ტურნირისთვის საჭირო პოლიგრაფიულ ხარჯებს (ბანერები, სტიკერი).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- ქ. ქუთაისში ფინალური მატჩის (ვარჯიშები, თამაში) სპორტული დარბაზის იჯარას;
- ქ. ქუთაისში მემორიალში მონაწილე გუნდების, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებისა და მსაჯთა ჯგუფის სასტუმროში დაბინავებისა და კვების ხარჯებს:

## 8. პროტესტი

8.1 პროტესტი ს.კ.ე.ფ-ში შედის წერილობითი ფორმით და ,,კალათბურთის ოფიციალურ წესებში" ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
8.2 პროტესტის შემტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას **500 (ხუთასი) ლარის** ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება უკან .
8.3 გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს ს.კ.ე.ფ-ის სააპელაციო კომისია.
8.4 თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა იზრდება **700 (შვიდასი) ლარამდე.**
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

## 9. დაჯილდოება

მემორიალზე გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის გარდამავალი თასით. მემორიალის საუკეთესო მოთამაშეები ჯილდოვდებიან სამახსოვრო პრიზებით.